სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/77

ქ. თბილისი

29 აპრილი 2020

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის, უმაღლესი განათლების, პროფესიული უმაღლესი განათლების, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის/ სერტიფიკატის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, დიპლომების დეპარტამენტის უფროსის ლია მსხილაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის, უმაღლესი განათლების, პროფესიული უმაღლესი განათლების, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის/ სერტიფიკატის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**